



**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს  
2021 წლის 15 იანვრის  
ს ხ დ ო მ ი ს ო ქ მ ი**

**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია**

**მისამართი:** დისტანციური სხდომა (Webex პლატფორმის გამოყენებით)

**სხდომის დაწყების დრო:** 19:00 სთ.

**დისტანციურ რეჟიმში სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:** დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, ირაკლი ყანდაშვილი, მარიამ კუბლაშვილი, ზურაბ როსტიაშვილი, ციციწო ცხვედიანი, დათუნა მოდებაძე, ნათია კორკოტაძე გიორგი თევზაძე, ტარიელ კაკაბაძე, გიორგი ტურაზაშვილი.

**საკითხი 1. იურიდიული დახმარების საბჭოში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ 1 წევრი კანდიდატის წარდგინების თაობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ საკითხის განხილვა.**

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26<sup>1</sup>-ე მუხლის, მე-7 პუნქტის, „ტ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის და „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, 2019 წლის 18 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს მიერ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, 2018 წლის 22 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს მიერ იურიდიული დახმარების საბჭოში წარდგენილი წევრების (თეა ჭეიშვილი, პავლე აბაიაძე, რამაზ ჩინჩალაძე) უფლებამოსილების დარჩენილი ვადების ფარული წილისყროთ განსაზღვრის შესახებ, რომლის თანახმადაც, ერთ-ერთ წევრის - რამაზ ჩინჩალაძის - უფლებამოსილების ვადა იწურება 2021 წლის 18 იანვარს.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26<sup>1</sup> მუხლისა და „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 და 23<sup>2</sup> მუხლების შესაბამისად, ასოციაციამ უნდა გამოაცხადოს ღია კონკურსი იურიდიული დახმარების საბჭოს შემადგენლობაში ადვოკატთა ასოციაციიდან წარსადგენი 1 (ერთი) წევრის შესარჩევად და კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის განსაზღვროს სავალდებულო კრიტერიუმები და წარსადგენი დოკუმენტაცია.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

- „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26<sup>1</sup> მუხლისა და „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 და 23<sup>2</sup> მუხლების შესაბამისად, გამოცხადდეს ღია კონკურსი იურიდიული დახმარების საბჭოს შემადგენლობაში ადვოკატთა ასოციაციიდან წარსადგენი 1 (ერთი) წევრის შესარჩევად;
- კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის სავალდებულო კრიტერიუმად განისაზღვროს არანაკლებ 5 წლიანი საადვოკატო გამოცდილება;
- კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ წარსადგენ სავალდებულო დოკუმენტაციად განისაზღვროს: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, CV (ქართულ ენაზე), ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელი მოწმობის ასლი და სამოტივაციო წერილი;
- განცხადებების შემოტანის ბოლო ვადად განისაზღვროს - 2021 წლის 20 იანვარი, 17:00 საათი;
- დაევალოს ასოციაციის აპარატს, ასოციაციის ვებ-გვერდზე კონკურსის შესახებ ინფორმაციის განთავსება, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

**აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.**

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.  
წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge).

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

**დავით ასათიანი**  
**თავმჯდომარე**